# უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი №72

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი - 24/12/2019 წ

სხდომის დაწყების დრო - 16:13 სთ

სხდომის დამთავრების დრო - 20:40 სთ

სხდომის თავმჯდომარე - გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივნი - ნინო ლიპარტია

სხდომის მდივანი - სალომე თოთიბაძე, ლევან გორდეზიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;
2. ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდვიანი;
3. ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
   ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
4. სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი;
5. ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
6. გაიანე სიმონია - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატორის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
7. ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. ანა ფირცხალაშვილი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
9. მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
10. დინიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

11. გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
13. თეა მჭედლური - საქართველოს არასამტავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

| № | სახელი, გვარი | სტატუსი |
|---|---|---|
| 1 | ანი ლელაძე | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 2 | ლაშა მაჭარაშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი |
| 3 | ქეთევან ინანაშვილი | უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი |

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

| № | სახელი, გვარი | საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | სტატუსი | საკითხი |
|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი სოსიაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | რექტორი | I |
| 2 | მარიკა შერაზადაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ფაკულტეტის დეკანი | I |
| 3 | ლევან მიდოდაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | I |
| 4 | ციური დურული | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი | I |
| 5 | დავით ჩოჩიშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | განათლების ფაკულტეტის დეკანი | I |
| 6 | იოსებ ალიმბარაშვილი | სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის დეკანი | I |
| 7 | ეკატერინე შაკიაშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და | II, III, IV |

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი | |
| 8 | თამარ ხოხობაშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე | II, III, IV |
| 9 | ვაჟა სადრაძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | II, III, IV |
| 10 | ქეთევან კოტეტიშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი | II, III, IV |
| 11 | ქართლოს ყაჭიაშვილი | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | II,III, IV |
| 13 | ირინე გოცირიძე | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი | II, III, IV |
| 14 | თინათინ კაიშაური | სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი | საინჟინრო, ეკონომიკის, მედიატექნოლოგიის და სოციალურ მეცნირებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი | II, III, IV |
| 15 | არჩილ ჯანგირაშვილი | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | აკრედიტაციის განყოფილების უფროსი | V, VI, VII, VIII |

სხდომის თავმჯდომარე

_______________________

*ხელმოწერა*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16 | მარიამ სილაგავა | შპს საქართველოს უნივერსიტეტი | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი | V, VI, VII, VIII |
| 17 | ანა ჟორჟოლიანი | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | ჯანდაცვის სკოლის ხარისხის მიმართულების ხელმძღვანელი | V, VI, VII, VIII |
| 18 | ეკა გეგეშიძე | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | პროგრამის ხელმძღვანელი „ბიზნესის ადმინისტრირება“ | V, VI, VII, VIII |
| 19 | ნათია გოლიაძე | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი | V, VI, VII, VIII |
| 20 | თამარ ლობჟანიძე | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | კანცელარიის ხელმძღვანელი | V, VI, VII, VIII |
| 21 | სულხან სულხანიშვილი | შპს - საქართველოს უნივერსიტეტი | ინფორმატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი | V, VI, VII, VIII |

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

| № | სახელი, გვარი | ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ | საკითხი |
|---|---|---|---|
| 1 | ნინო პოპიაშვილი | | I |
| 2 | ხვთისო მამისიმედაშვილი | | I |
| 3 | ემზარ კახიძე | სატელეფონო ჩართვა | II |
| 4 | ანი ბილანიშვილი | სატელეფონო ჩართვა | II |
| 5 | მიხეილ რუხაია | | III - IV |
| 6 | ზაქარ დუაძე | | III |
| 7 | ზურაბ ბოსიკაშვილი | | VII |
| 8 | მაია მანწკავა | სატელეფონო ჩართვა | IV |
| 9 | მერაბ ხოხობაია | | V |
| 10 | დავით რუსია | | V |
| 11 | ოთარ გერზმავა | | VI |
| 12 | მარიამ აბულაძე | | VI |

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) $27^2$ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების $27^5$ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციიის საკითხის განხილვა
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- ✓ კი

ცვლილების ინიციატორი - გიორგი ამილახვარი, სხდომის თავმჯდომარე.
ცვლილების საფუძველი - საბჭოს 3 წევრის განცხადებით, მათ 17:00 საათისათვის უნდა დაეტოვებინათ სხდომა. შესაბამისად შესაძლებელი იყო სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საკითხების განხილვის დროს არ ყოფილი ქვორუმი. საბჭოს წევრებმა აღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვეს საკითხების რიგითობის შეცვლა.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციიის საკითხის განხილვა
5. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარე

______________________________

*ხელმოწერა*

6. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
7. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
8. შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | ქართულ ენაში მომზადება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[2] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №245 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[4] | - |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[5] | - |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | - |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[7] | - |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |

---

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

სხდომის თავმჯდომარე ______________________

*ხელმოწერა*

| | | |
|---|---|---|
| 14 | განხორციელების ადგილი[8] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ.N68, სასწავლო კორპუსი №2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

თეა მჭედლური

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის არსებობა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რათა მას ვიზიტის თაობაზე პოზიცია დაეფიქსირებინა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მინიჭებული ჰქონდა 2014 წელს და ამჟამად წარმოდგენილი იყო საბჭოს წინაშე რეაკრედიტაციის მიზნით. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2019 წელს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის

---

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა



დირექტორის 2019 წლის 03 მაისს, №323/ი ბრძანებით დამტკიცებულია „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი, რომელიც ძალაში შედის 2020 წლის პირველი ივნისიდან. ექსპერტის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით შემოწმდა ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტი, დაათვალიერეს ინფრასტრუქტურა.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- პროგრამის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ასევე, მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია საგანმანათლებლო კურსის/კურსების შეთავაზება დარგობრივი მიმართულებების მიხედვით.
- 2019 წელს შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც 2020 წლის 1 ივნისიდან შედის ძალაში, მნიშვნელოვანია პროგრამამ განიცადოს რეორგანიზაცია და დაწესებულებამ მოახდინოს აკადემიური რესურსების მობილიზება. პროგრამის განვითარების გეგმაში შევიდეს ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე გადასვლა, დაემატოს შესაბამისი სასწავლო კურსები და მოხდეს ენობრივი დონეების მიხედვით სასწავლო კურსების დიფერენცირება.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად უნდა განისაზღვროს სტუდენტის საწყისი ენობრივი კომპეტენციები პირველი სემესტრის დასაწყისში პრეტესტის საფუძველზე.
- მიზანშეწონილია ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების შემუშავება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მიხედვით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დარგობრივი მახასიათებლები ძალაში შედის 2020 წლის ივნისიდან, როდესაც პროგრამამ უნდა დაიწყოს ფუნქციონირება 2020-21 სასწავლო წლისათვის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, 2020-21 სასწავლო წელს სტუდენტებმა სწავლა დაიწყონ ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც შესაბამისობაში იქნება მიმდინარე საგანმანათლებლო რეგულაციებთან.
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში, პირველ სემესტრში, მნიშვნელოვანია აისახოს სტუდენტთა საწყისი კომპეტენციების ენობრივი დონეების მიხედვით საგნების დიფერენცირება.
- მიზანშეწონილია, პროგრამაში განსაზღვრული იყოს დონეების მიხედვით განსხვავებული საკონტაქტო საათები.
- პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილია დაემატოს მეორე სემესტრიდან დარგობრივი სავალდებულო/არჩევითი კურსები, რომლებიც გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ქართულენოვან მიმართულებებზე/ფაკულტეტებზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში რელევანტური იქნება არაქართველი სტუდენტებისათვის.

ექსპერტის თქმით, გაიცა რჩევაც, რომლის თანახმად: საგანმანათლებლო პროგრამა დაწესებულებაში არის მცირე კონტიგენტიანი, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლებელმა გააძლიეროს ამ საგანმანათლებლო პროგრამის ცნობადობა სამიზნე აუდიტორიებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია
სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტს და დაინტერესდა მოცემული სახით, აღნიშნული ეტაპისათვის შეესაბამება თუ არა პროგრამა დარგობრივი მახასიათებლით მოთხოვნილ სტანდარტებს.
ექსპერტის განცხადებით, პროგრამა არ შეესაბამება სტანდრტს, უნდა მოხდეს პროგრამის გადაწყობა და დაემატოს სილაბუსები ენობრივი დონეების მიხედვით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით დარგობრივი მახასიათებელი არის სარეკომენდაციო ხასიათის და უფორ მეტად მნიშვნელოვანი სწავლის შედეგები, რომელზეც აღნიშნული პროგრამა გადის. მეორე სტანდარტის 2.1. კომპონენტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციას რაც

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

შეეხება, აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ნორმა განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას, რაც მოიცავს ერთიანი ეროვნული გამოცდევბის ფარგლებში ჩატარებულ ტესტებს. ექსპერტების მმოაზრებით ჯგუფებში გადანაწილება უნდა მოხდეს პრეტესტის საფუძველზე რაც შესაძლებელია გაკეთდეს უკვე ჩარიცხული სტუდენტებისათვის. ასევე აღსანიშნავია, რომ 2.2. და 2.3. კომპონენტში ასახულია იდენტური რეკომენდაცია.

ექსპერტმა განმარტა, რომ დასკვნა დაიწერა დაჩქარებულ ვადებში და მოხდა წინასწარი დასკვნის გადამუშავება, რის დროსაც დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საავკრედიტაციოდ წარმოდგენილია მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც ირიცხებიან სტუდენტები და მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. შესაბამისად მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ცვლილებების განხორციელება შეუძლებელია.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა სავალდებულო არის თუ არა დაწესებულების მხრიდან 2020 წლის 1 ივნისამდე პროგრამა აამოქმედოს ახალ დარგობრივ მახასიათებელზე დაყრდნობით, თუ მათ აქვთ განსაზღვრული გარკვეული ვადა.

ექსპერტის განცხადებით, ჯერ არ არის სავალდებულო პროგრამა ეყრდნობოდეს ახალ მახასიათებელს, თუმცა დაწესებულებამ იმ შემთხვევაში თუ პროგრამას მიენიჭება აკრედიტაცია უნდა ჩარიცხოს სტუდენტები. ასევე აღსანიშნავია, რომ პროგრამა გარკვეულწილად ითვალისწინებს ახალი დარგობრივი მახასიათებლის მიერ გაცემული რეკომენდაციების ნაწილს, შესაბამისად პროგრამა არის კომბინირებული და გარდამავალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვინაიდან ახალი დარგობრივი მახასიათებელი ჯერ არ არის შესული ძალაში პროგრამა წარმოდგენილია მოქმედი სახით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის დამტკიცდა ახალი დარგობრივი მახასიაღებელი.

ექსპერტმა განმარტა, რომ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 3 მაისის №323/ი ბრძანებით დამტკიცებული იქნა დარგობრივი მახასიათებელი, მანამ სანამ დაწესებულება ცენტრში რეაკრედიტაციის მიზნით წარმოადგენდა საგანმანათლებლო პროგრამას, კერძოდ 2019 წლის 10 სექტემბერს.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა პროგრამას არსებული სახით შედეგებზე გასვლის პრობლემა.

ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულებას 2020 წლის 1 ივნისამდე აქვს ვადა მოახდინოს მობილიზება და პროგრამის რეორგანიზება. პროგრამას უნდა დაემატოს 11 სილაბუსი. რაც შეეხება შედეგზე გასვლას, საგანმანათლებლო პროგრამა არსებული სახით გადის შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტების მიერ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტების დინამიკა არის მზარდი, მათი ნაწილი არიან აზერბაიჯანელები და ინტეგრირებულები არიან უნივერსიტეტის ცხოვრებაში. საგანმანათლებლო პროგრამა გათვალისწინებულია 2019-23 წლებისათვის, რპოგრამა არის მიმდინარე და მისი მოსაზრებით მათ არ აქვთ ვალდებულება გაითვალისწინონ დარგობრივი მახასიათებლები.

საბჭოს წევრი, ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს ვალდებულება ახალი დარგობრივი ნახასიათებლიე გათვალისწინებისა და პროგრამის მორგების.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დარგობრივი მახასიათებელი არ წარმოადგენს ბრძანებას, ის არის რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინება მოხდება ახალი სასწავლო წლიდან და პროგრამას გადააწყობენ დონეების მიხედვით.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ დარგობრივ მახასიათებელს აქვს სავალდებულო ხასიათი, რეკომენდაციები კი მოცემულია ცალკე დანართის სახით და პროგრამა შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი დარგობრივ მახასიათებელთან დათქმულ ვადამდე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ როდის დაასრულებდნენ პროგრამას მოქმედი სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოქმედი სტუდენტები სწავლას დაასრულებდნენ მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს. დაწესებულბა გეგმავდა ახალი სასწავლო წლიდან პროგრამის ამოქმედებას ახალი დარგობრივი მახასიათებლის თანახმად. დარგობრივი მახასიათებელი ითვალისწინებს

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

პირველი სემესტრის განმავლობაში მოხდეს დონეებად დაყოფა, მიმდინარე ეტაპზე მათი სტუდენტები არიან ყველა ერთი დონის, შესაბამისად მათ შედეგზე გასვლის პრობლემა არ ექნებათ.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 16:34 სთ
დამთავრების დრო -16:43 სთ

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების " საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი
სხდომის თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს 2020 წლის 1 ივნისამდე განეხორციელებინა მონიტორინგი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

აკრედიტაციის პირობების შემოწმება გეგმიური მონიტორინგის გზით განხორციელდეს 2020 წლის 1 ივნისამდე.

სხდომის თავმჯდომარე ______________________

*ხელმოწერა*

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[10] | ქართულ ენაში მომზადება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[11] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 04 დეკემბერი, №245 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[12] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[13] | - |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[14] | - |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | - |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[15] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | - |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[16] | - |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 60 |
| 14 | განხორციელების ადგილი[17] | საქართველო 1400, ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ.N68, სასწავლო კორპუსი №2 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[18] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

---

10 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

11 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

12 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

13 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

14 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

15 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

16 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

17 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

18 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

_______________

*ხელმოწერა*

2. მეორე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[19] | არქეოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[20] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2015 წლის 21 იანვარი, №03 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[21] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[22] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[23] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[24] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[25] | 0222 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[26] | საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77ა, კორპ. 6, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[27] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

19 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
20 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
21 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
22 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
23 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
24 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
25 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
26 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
27 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

- ✓ კი

სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტს, რათა მას ვიზიტის თაობაზე პოზიცია დაეფიქსირებინა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტტა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა პროგრამა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, ვიზიტის დროს განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების ხელმძრვანელობასთან, აკადემიურ პერსონალთა, სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან. ჯგუფმა ასევე დაათვალიერა ტექნიკური ბაზა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის შთაბეჭდილება არის დადებითი, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს მეტი შესაძლებლობა ერთმანეთს შეაჯეროს საკუთრივ არქეოლოგიური და ისტორიული დისციპლინები საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ საგნებთან. ვინაიდან მათ უფრო მეტი რესურსი დაინახეს, რომ დაწესებულებას შეუძლია ჩართოს საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნები საგანმანათლებლო პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ გასაუმჯობესებელია ინტერნაციონალიზაციის საკითხი. დარღვეულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის ბალანსი. მოწვეული პერსონალის რაოდენობა არის მცირე.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით უკვე გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები, მაგალითად, ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტთან გაფორმდა მემორანდუმი, მიმდინარე წლის ზაფხულში დაგეგმილია ერთობლივი ექსპედიცია რიზეს შემოგარენში, ასევე, მოლაპარაკება მიმდინარეობს გერმანიაში ერთ-ერთ უნივერსიტეტთან და მემორანდუმის გაფორმების შემდეგ, მოიწვევენ პროფესორებს საგანმანათლებლო პროგრამის შესაფასებლად და გასაუმჯობესებლად. რაც შეეხება

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

მოწვეულ პერსონალთან გაცემულ რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს 14 სტუდენტი და 5 აკადემიური პერსონალი, რომელიც ჯერ - ჯერობით ართმევს მათთან მუშაობას თავს.

საბჭოს წევრი მაკა ლაშხია დაინტერესდა როგორ ხდება ნაშრომების დაცვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეცენზენტს იქვევენ გარედან, ხოლო საბჭო შედგება მთელი ფაკულტეტისგან, ჰყავთ საუნივერსიტეტო საბჭო. საბჭოში არის 24 წარმომადგენელი, აღნიშნულ წევრებში შედის არქეოლოგიის ჯგუფი. შესაბამისად სახეზეა მრავალმხრივი სამეცნიერო საბჭო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 16:55 სთ
დამთავრების დრო -16:59 სთ

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „არქეოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[28] | არქეოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[29] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2015 წლის 21 იანვარი, №03 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[30] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[31] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[32] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | არქეოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[33] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0222 ისტორია და არქეოლოგია |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[34] | 0222 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 120 |
| 14 | განხორციელების ადგილი[35] | 0175, საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77ა, კორპ. 6, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[36] | |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | |

---

[28] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[29] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[30] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[31] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[32] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[33] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[34] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[35] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[36] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნირებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[37] | კომპიუტერული მეცნირებები |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[38] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[39] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[40] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[41] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | კომპიუტერული მეცნირებების ბაკალავრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[42] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[43] | 0613 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[44] | საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.N77, სასწავლო კორპუსი №6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[45] | - |

[37] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[38] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[39] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[40] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[41] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[42] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[43] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[44] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[45] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

*ხელმოწერა*

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- ✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- ✓ კი

სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, ლევან გორდეზიანს.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, საერთო ჯამში საგანმანათლებლო პროგრამამ დატოვა კარგი შთაბეჭდილება, პროგრამა გამართულია როგორც სტრუქტურულად ისე შინაარსობრივად, გარკვეული რეკომენდაციები გაიცა სილაბუსებთან დაკავშირებით. უმთავრესი რეკომენდაციაა, ლექტორების ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება. ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ექსპერტი, რომელიც გაკვირვებული დარჩა აკადემიური პერსონალის ენის ფლობის დონით, მით უმეტეს რომ პროგრამა არის ინგლისურენოვანი, ხოლო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტზე კომუნიკაცია მიმდინარეობდა თარჯიმნის დახმარებით. ასევე ერთ-ერთი რეკომენდაციის თანახმად პროგრამაზე არსებული სტუდენტების რაოდენობა აჩენს კითხვას შეძლებს თუ არა პროგრამა იყოს ფინანსურად მდგრადი და პერსექტიული. ასევე საკითხავია რამდენად შეძლებს პროგრამა მომავალში მოიზიდოს სტუდენტების სასურველი რაოდენობა. ასევე რეკომედაცია სილაბუსებთან დაკავშირებით გულისხმობს ძირითადი ლიტერატურის მითითებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლ(ებ)ის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსებში გაიწერა ძირითადი ლიტერატურა. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის დონეს, დაწესებულებაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის ტრენინგ ცენტრი, სადაც აქვთ სპეციალური პროგრამა მასწავლებლებისთვისა და სტუდენტებისთვის.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ ესწრებოდა ინგლისურენოვან პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს თარჯიმანი.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პედაგოგებს არ უჭირთ ინგლისურ ენაზე კომუნიკაცია, თუმცა თარჯმანი როგორც წესი ყოველთვის ესწრება ასეთ შეხვედრებს, თუ კი მონაწილობს საერთაშორისო ექსპერტი.
სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, აკადემიური პერსონალის პირად საქმეებში თუ ნახეს პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტები ან თუ ჰქონდათ აღნიშნულის თაობაზე გასაუბრება პროფესორებთან.
ექსპერტმა უპასუხა, რომ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი არ უნახავთ, კითხვა - პასუხის რეჟიმი მიმდინარეობდა ინგლისურ ენზე, თუმცა მათ უწევდათ კითხვების განმეორება, ზოგჯერ ქართულად თარგმნაც, ვინაიდან პასუხები იყო აცდენილი შეკითხვებთან.
დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა აღნიშნულ შენიშვნას და აღნიშნა, რომ ყველა ლექტორს აქვს მინიმუმ 2 - 3 წლიანი გამოცდილება საგნების ინგლისურ ენაზე წაკითხვის, ზოგადად როდესაც ასეთი საპასუხისმგებლო გარემოა ზოგჯერ ქართულად არ ესმით სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა. მისი თქმით, სამართლიანია ამ პედაგოგებმა გაიარონ ტრენინგი იანვრიდან კიდევ ერთხელ, რომ აიმაღლონ ინგლისური ენის ცოდნა. დამატებით აღინიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირების ცენტრი, მისი თქმით, „კეიპ თაუნში" იყო კონფერენცია, საგანმანათლებლო გამოფენა, საიდანაც ჩამოტანილი აქვთ ხელშეკრულებები, რომლის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამაზე მსურველთა რაოდენობა არის დაახლოებით 70 სტუდენტი (ეგვიპტე, ტუნისი, იორდნია, ინდოეთი, არაბეთის საემირეოები, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) რაც შეეხება მასწავლებლების კომპეტენციას ინგლისურში, ჰყავთ კვალიფიციური კადრები: მათემატიკაში, ინფორმატიკაში, რომელთაც აქვთ ინგლისურ ენაზე ლექციების წაკითხვის გამოცდილება.
სხდომის თავჯდომარემ დააზუსტა ექსპერტთან თუ რამდენად შეძლებდნენ წარმოდგენილი სასწავლო კურსის ხელმძღვანელები კურსების წაკითხვას.
ექსპერტმა უპასუხა, რომ ისინი იმედოვნებენ, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელები შეძლებენ სასწავლო კურსების წაკითხვას.
სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა თუ ვერ მოხერხდებოდა სავარაუდო 50 სტუდენტის მიღება საგანმანათლებლო პროგრამაზე, ფინანსურ მდგრადობას ხომ არ შეექმნება პრობლემა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფინანსური მხარდაჭერა აქვთ უნივერსიტეტიდან, არა მხოლოდ პირველ კურსელებზე, ასევე ინფორმატიკისა და მათემატიკის ფაკულტეტზე არის დაახლოებით 3 000 სტუდენტი, არიან სტუდენტები რომლებიც მობილობით გეგმავენ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოსვლას აკრედიტაციის მიღების შემდეგ. ასე, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას პრობლემა არ შეექმნება.
საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, თუ ჩაატარა დაწესებულებამ საჭიროების კვლევა, თუ რამდენად არის აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ინგლისურ ენაზე მოთხოვნადი, ასევე, მიმართა ექსპერტებს თუ ნახეს ასეთი დოკუმენტი.
ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მათ ასეთი დოკუმენტი არ უნახავთ.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, კვლევა ჩატარდა მათივე სტუდენტებთან, ინფორმატიკის და მათემატიკის პროგრამებზე და გამოითქვა ძალიან დიდი სურვილი, ამ ეტაპზე კომპიუტერული მეცნიერება არის შესული მოდულის სახით ინფორმატიკის საგანმანათლებლო პროგრამაში. მისი თქმით, ჩატარდა დამსაქმებლების გამოკითხვა საინიციატივო ჯგუფში იყვნენ, კავშირგაბმულობის, საბანკო სისტემის სპეციალისტები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს ამ სპეციალისტებზე და განაცხადეს, რომ სამომავლოდ დაასაქმებდნენ კურსდამთავრებულებს.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:15 სთ
დამთავრების დრო - 17:28 სთ

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნიერებების“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით 1 წლის ვადაში განეხორციელებინა მონიტორინგი აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და გადამოწმებული ყოფილიყო აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის დონე.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, $27^6$-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნირებების" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

მონიტორინგი განხორციელდეს 1 წლის ვადაში.

17:35 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[46] | კომპიუტერული მეცნირებები |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[47] | ახალი |

[46] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[47] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[48] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[49] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[50] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | კომპიუტერული მეცნიერებების ბაკალავრი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[51] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[52] | 0613 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[53] | საქართველო 0175, ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.N77, სასწავლო კორპუსი №6 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[54] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

[48] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[49] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[50] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[51] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[52] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[53] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[54] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[55] | ბიოსამედიცინო ინჟინერია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[56] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[57] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[58] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[59] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | მეცნიერების ბაკალავრი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[60] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[61] | 0719 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[62] | საქართველო 0175, ქ. თბილისი მ.კოსტავას ქ.№77ა, კორპ. 4 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[63] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

55 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

56 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

57 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

58 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

59 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

60 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

61 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

62 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

63 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ____________________

ხელმოწერა

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

სალომე თოთიბაძე, დენიტა ბიბილეიშვილი

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის არსებობა სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან.

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით დაეფიქსირებინათ პოზიცია.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ პირადად მას ძალიან მოეწონა საგანმანათლებლო პროგრამა, რადგან დეტალურად ჩანდა როგორი ხედვა აქვთ და როგორ აკეთებდნენ წინა წლებში ყველაფერს. ძირითადი აქცენტი გააკეთა იმაზე, თუ რა ტიპის კვლევები ჰქონდათ საგანმანათლებლო პროგრამაზე და უამრავი მემორანდუმები, რომელიც ახასიათებს უნივერსიტეტებს, მუშაობდა თუ არა. პერსონალს ჰქონდა ხელშეწყობა კვლევებისათვის, რაც მისი მოსაზრებით, საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამა არის ამ კუთხით.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა კარგად იმუშავეს, მადლობა გადაუხადა მოწვეულ ექსპერტს, რომელსაც დეტალურად ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამა შესწავლილი: სილაბუსები, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა, ასევე, ინტერვიურების ჩატარების ტექნიკაც და მიდგომა იყო სამაგალითო. რაც შეეხება რეკომენდაციიებს, მათ არ ჰქონდათ, იყო მხოლოდ ექსპერტების შემაჯამებელი სურვილები: სამეცნიერო მუშაობაზე პროფესურას ჰქონდეს მეტი თავისუფალი დრო, რაც არ არის მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის პრობლემა, ეს საკითხი ზოგადად ძალიან რთულია. პროფესურას სჭირდება მეტი დრო სამეცნიერო კვლევებისათვის და აკადემიური მოღვაწეობის შეფარდება, ამაზე მთელი რიგი კვლევები არსებობს, ყველზე მძიმე დღეში ამ მხრივ, არიან სრული პროფესორები, რასაც დასკვნებიც აჩვენებს. სამეცნიერო კვლევისათვის მეტი დროის დათმობა დარგის სპეციფიურობიდან გამომდინარეობს, მათემატიკას თუ მეტი დრო უნდა, სადაც გუნდი მუშაობს იქ დროც ოპტიმალურია.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებმა კარგად იმუშავეს, ექსპერტებს დეტალურად ჰქონდათ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამა, ინტერვიურების ჩატარების ტექნიკაც და მიდგომა იყო სამაგალითო. ექსპერტთა ჯგუფს აქვს მხოლოდ რჩევები. ერთ-ერთი რჩევაა პროფესურას ჰქონდეს მეტი თავისუფალი დროს სამეცნიერო მუშაობისათვის, რაც არ არის მხოლოდ ტექნიკური უნივერსიტეტის

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

პრობლემა, აღნიშნული საკითხი ზოგადად ძალიან რთულია. პროფესურას სჭირდება მეტი დრო სამეცნიერო კვლევებისათვის და აკადემიური მოღვაწეობის შეფარდება, ამაზე მთელი რიგი კვლევები არსებობს, ყველზე მძიმე დღეში ამ მხრივ, არიან სრული პროფესორები, რასაც დასკვნებიც აჩვენებს. სამეცნიერო კვლევისათვის მეტი დროის დათმობა დარგის სპეციფიურობიდან გამომდინარეობს, მათემატიკას თუ მეტი დრო უნდა, სადაც გუნდი მუშაობს იქ დროც ოპტიმალურია.
სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა თუ რა კონტიგენტისათვის იყო გათვლილი აღნიშნული პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაშვებაზე არ არის შეზღუდვა, შეიძლება როგორც უცხოელის მოზიდვა, ასევე, საქართველოს მოქალაქე სტუდენტების. როგორც მისთვის არის ცნობილი, იგეგმება საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები იმისათვის, რომ განხორციელდეს ქართველი სტუდენტების დაფინანსება ასეთ პროგრამებზე.
სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას განხორციელებული საჭიროების კვლევა აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ გაკეთებული ბაზრის კვლევა, რომელიც დევს წარმოდგენილ დოკუმენტებში, გარდა ამისა, მათ აქვთ მსგავსი ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამაც, რომელთა კურსდამთავრებულებიც არიან დასაქმებულნი გერმანიაში, პოლონეთში, ფინეთში, ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულებით, არიან მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ ევროპის ბაზარზე. მოცემული პროგრამა არის ერთ - ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო პროგრამა ტექნიკურ უნივერსიტეტში, როგორც ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, ჰყავს ძალიან წარმატებული სტუდენტები და არის ძალიან აქტუალური მიმართულება, რომელიც სხვა უნივერსიტეტში პრაქტიკულად არ არსებობს.

საბჭოს წევრი გაიანე სიმონია დაინტერესდა, გაიზარდა მოთხოვნა ბიო სამედიცინო ინჟინერიის სპეციალისტებზე დასაქმების ბაზრაზე თუ არა, მნიშვნელოვანია, რომ კვალიფიციური კადრი ჰყავდეს ყველა სამედიცინო კლინიკას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მათ დაწესებულებაში ფუნქციონირებს ISO სტანდარტის მქონე სამედიცინო ტექნიკის ხარისხის კონტროლის აკრედიტებული ლაბორატორია რომელსც ევალება სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო ტექნიკის კონტროლი. შესაბამისად თუ პროგრამა ამოქმედდება აღნიშნული მიმართულებითაც მომზადდება შესაბამისი კადრები.
საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, რა სიტუაცია იყო აღნიშნულ პროგრამაზე პერსონალის ინგლისური ენის ცოდნასთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ჩატარდა გასაუბრებები ინგლისურ ენაზე როგორც, პერსონალთან ისე, სტუდენტებთანაც, რომელმაც აჩვენა ინგლისური ენის ფლობის მაღალი დონე.
საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა პერსონალს რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი, იყო თუ არა პირად საქმეში წარმოდგენილი მათი გამოცდილების შესახებ რაიმე დოკუმენტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დამადასტურებელი დოკუმენტი ყველა მეცნიერისთვის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებია, რომელიც შესრულებულია ორიგინალურ ენაზე, ბევრი კვლევები აქვთ ჩატარებელი კოლაბორაციაში უცხოელ პარტნიორებთან, ასევე, იმისათვის, რომ ინგლისურენოვან სასწავლო კურსზე წაიკითხოს ლექცია პერსონალმა, ტარდება საჯარო ლექცია, რომელიც იწერება და ეს არის პირველი დასტური იმისა, რომ ის ფლობს ენას. მათ ჰყავთ საგანმანათლებლო პროგრამაში არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეები ჩართულები, არამედ ერთ - ერთი მათი ასისტენტ - პროფესორი არის ამერიკის მოქალაქე, უშუალოდ ენის ცოდნის სერთიფიკატი პერსონალს არ მოეთხოვება, ის რეალურად დასტურდება, ლექციების ხარისხის შეფასებით, მისი პუბლიკაციებით და ა. შ.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 17:50 სთ
დამთავრების დრო - 17:53 სთ

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-$3^1$ პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $3^1$ პუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ბიოსამედიცინო ინჟინერიის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით.

17:55 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, დენიტა ბიბილეიშვილმა.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[64] | ბიოსამედიცინო ინჟინერია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[65] | ახალი |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | - |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[66] | - |

64 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
65 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
66 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[67] | ბაკალავრიატი |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[68] | მეექვსე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | მეცნიერების ბაკალავრი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[69] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0719 ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[70] | 0719 |
| 12 | სწავლების ენა | ინგლისური |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 240 |
| 14 | განხორციელების ადგილი[71] | საქართველო 0175, ქ. თბილისი მ.კოსტავას ქ.№77ა, კორპ. 4 |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[72] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

5. მეხუთე საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[73] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[74] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №298 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[75] | - |

---

67 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

68 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

69 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

70 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

71 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

72 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

73 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

74 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

75 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[76] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[77] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[78] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[79] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[80] | კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[81] | |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

---

76 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
77 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
78 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
79 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
80 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
81 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ______________________

*ხელმოწერა*

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ვიდეო ზარი განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტთან, რომელიც გახლდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე. მან საბჭოს წევრებს გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- გამოკვეთეთ პროგრამის მთავარი მიზანი და განსაზღვრეთ იგი სადოქტორო განათლების ძირითადი კომპონენტების გარშემო, რითაც თავიდან აიცილებთ ნებისმიერ არასწორ კომუნიკაციას საერთაშორისო აკადემიურ და კვლევით საზოგადოებასთან.
- მიაწოდეთ ინფორმაცია პროგრამის მიზნის შესახებ სტუდენტებს, პერსონალს, ასევე მოწვეულ პერსონალსა და ხელმძღვანელებს როგორც უნივერსიტეტში, ისე მის არგლებს გარეთ, რათა უზრუნველყოთ პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის შესაბამისობა მის მიზანთან და გაზიარება ძირითად ჩართულ მხარეებს შორის.
- ჩამოაყალიბეთ დაინტერესებული მხარეების სათანადო ჯგუფი, რომელიც სპეციალურად იქნება შერჩეული სადოქტორო პროგრამისათვის.
- გააფართოვეთ სწავლის სედეგები, რათა მოიცვას ინტერანციონალიზაციის მოთხოვნები და ICT უნარები კვლევისათვის.
- პროგრამის აღწერასთან დაკავშირებით უზრუნველყავით ყველა საინფორმაციო წყაროს თანმიმდევრულობა.
- შემოიღეთ სავალდებულო მოსამზადებელი კურსები სტუდენტებისათვის, რომლებსაც აქვთ ძლიერი აკადემიური პროფილი, მაგრამ არ უსწავლიათ ბიზნესის ადმინისტრირება მაგისტრატურის დონეზე.
- ბიზნესისა და ადმინისტრირების მეცნიერებათა ფაკულტეტმა უნდა მოიპოვოს „მესაკუთრეობა' პროგრამის სასწავლო კომპონენტზე. სხვა სკოლების მიერ შემოთავაზებული კურსები უნდა გადაიხედოს და მოვიდეს შესაბამისობაში სადოქტორო პროგრამის პროფილთან ბიზნესის ადმინისტრირებაში.
- IT უნარები კვლევისათვის (მაგ. მონაცემთა მეცნიერება რაოდენობრივი კვლევისათვის ან თვისობრივი მონაცემების ანალიზი პროგრამული უზრუნველყოფა) ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული პროგრამის გაუმჯობესებაში, რადგან ისინი დამსაქმებელთა მოთხოვნის შესაბამისად დადგინდა პრიორიტეტებად დოქტორანტებისათვის.
- სტუდენტებს მოსთხოვეთ ორი ნაშრომის გამოქვეყნება ინგლისურ ენაზე, როგორც სადოქტორო დისერტაციის დაცვის წინაპირობა, რატა დაეხმაროს სტუდენტს ინგლისურენოვანი უნარების განვითარებაში და ამავე დროს გაზარდეთ კვლევის შედეგების გავრცელება.
- საქართველოს უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალები ან საერთაშორისო კონფერენციები არ უნდა ჩაითვალოს დისერტაციის დაცვის წინაპირობების შესასრულებლად.
- კურსი „კვლევის ხარისხობრივი მეთოდები" უნდა ადაპტირდეს ბიზნესში კვლევის მეთოდოლოგიების მისაღწევად ხარისხობრივ ტექნიკაზე აქცენტირებით, და გაუმჯობესდეს ინფორმაციული სისტემების დახმარებით ხარისხობრივი ანალიზისათვის.
- შეინარჩუნეთ პროგრამის სასწავლო კურსი „ტექსტის მითითება და თარგმნა" რომელიც დაკავშირებულია დოქტორანტის აკადემიური წერის უნარებთან. კურსის დატვირთვის შემცირება 5 კრედიტამდე, გამოათავისუფლებს ადგილს პროგრამის პროფილთან დაკავშირებული კურსების შესათავაზებლად.
- „ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალიზაციის მოდულის" სწავლის შედეგები უნდა იყოს გამოხატული ისე, რომ კურსი მოეგოს დოქტორანტების კონკრეტულ სამეცნიერო პროფილებს.

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

- ჩამოაყალიბეთ მოთხოვნები ორი სტატიიდან მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნებაზე, მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ინგლისურენოვანი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალების ჩამონათვალის შექმნით, რადგანაც ყველა ინდექსირებული ჟურნალი ან/და კონფერენცია არ არის იგივე სამეცნიერო ხარისხის.
- ფაკულტეტმა უნდა გაწიოს ძალისხმევა ინტერნაციონალიზაციის გასაზრდელად. მაგ. ევროპისა და სხვა უნივერსიტეტების მიერ ERASMUS + პროგრამის ფარგლებში ან დამოუკიდებლად შემოთავაზებული მოკლევადიანი „საზაფხულო სკოლები" დოქტორანტებისათვის.
- აკადემიურმა პერსონალმა ყურადღების ცენტრში უნდა მოაქციოს სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია ჟურნალებსა და საკონფერენციო მასალებში, რომელიც ხელმისაწვდომია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, რათა გაიზარდოს კვლევის შედეგების საერთაშორისო გამოცდელება.
- პროგრამის მატერიალური ბაზა უნდა გაფართოვდეს, რათა მოიცვას უფრო მეტი პროგრამული ინსტრუმენტი, რომლებიც შეიძლება დასჭირდეთ დოქტორანტებს კვლევისათვის.
- პროგრამის შეფასებასა და შემუშავებაში დამსაქმებელთა ჩართულობა უნდა გაუმჯობესდეს და გახდეს უფრო არსებითი.
- უზრუნველყავით დოქტორანტურის საკითხების სასწავლო კომპონენტზე მორგება არა მხოლოდ კურსების დამატებით/ამოღებით, არამედ ასევე კურსების პროფილის დიფერენციაციით, რათა უკეთ მოერგოს ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის საჭიროებებს.

საბჭოზე მყოფმა ადგილობრივმა ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციების პირველი ნაწილი ეხება მიზნის დაკონკრეტებას და კვლევითი ხაზის წინ წამოწევას, გარკვეულ სტრუქტურულ ცვლილებებს თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ფორმატში, რომელიც შეიძლება გაძლიერდეს კონკრეტული პროგრამული პაკეტების გამოყენებით, რომელიც აპრობირებული პრაქტიკაა და რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, რომ უფრო ხარისხობრივად მაღალ დონეზე შეასრულონ ნაშრომები. საგანმანათლებლო პროგრამას აქვს განსაზღვრული, რომ დოქტორანტმა გარკვეულ ჟურნალებში უნდა გამოაქვეყნოს 2 სტატია, ხოლო რეკომენდაციაა ინგლისურ ენაზე გამოქვეყნება ინპაქტფაქტორიან ჟურნალში. ასევე, რეკომენდაციები ეხება მოდულში გთვალისწინებულ საგნებს, შეიძლება მოვიდეს არა ბიზნესის პროფილის სპეციალისტი, შესაბამისად, მისთვის უნდა მოხდეს სპეციალური კურსების შეთავაზება, რომ უფრო სწრაფად ადაპტირდეს პროგრამასთან. გარკვეული საკითხები უკავშირდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პუბლიკაციებსაც, რომ საერთაშორისოდაც იყოს ხილვადი. რაც შეეხება ფინანსურ ნაწილს, თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით დაწესებულებას აქვს გარკვეული სტატისტიკა წარმოდგენილი სტუდენტთა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, რომლის მაჩვენებელიც მაღალია და რაც გასაგებია ქართულ რეალობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა ესაუბრა სტუდენტების მიერ სტატუსის შეჩერების თაობაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტების ნაწილს სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო, ნაწილი ვერ აგრძელებს სწავლას, სამსახურიდან გამომდინარე, ასევე, დეკრეტულ შვებულებაში არის ერთი დოქტორანტი.

18:20 საათზე სხდომას შემოუერთდა ხათუნა თოდაძე

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა თუ რა შთაბეჭდილება დარჩათ ექსპერტებს სადისერტაციო ნაშრომების ნახვის შედეგად.

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯგუფმა გადახედა ნაშრომებს, სტრუქტურულად ნაშრომები იყო გამართული, იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც აქვს დაწესებულებას, საკითხებიც აქტუალურია ბიზნესის მიმართულებით, შეფასებებს რაც შეეხება ჰქონდათ 90 ქულაზე მაღალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, აღიშნა, რომ ვინაიდან საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე საფუძვლიანად ისწავლებოდა კვლევები, შესაბამისად ჩაითვალა, რომ სადოქტორო საფეხურზე აღარ მომხდარიყო გამეორება. დაწესებულება მუშაობს სამომავლოდ უზრუნველყოს საზაფხულო სკოლები და ჩართონ უფრო მეტი სტუდენტები. 4 წლის მანძილზე პროგრამა დაასრულა ოთხმა სტუდენტმა, აღნიშნული სტუდენტებიდან ერთერთი მათგანი მონაწილეობდა გაცვლით პროგრამაში ERASMUS+ -ის ფარგლებში, ასევე კიდევ ერთ სტუდენტს მოპოვებული ჰქონდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი. კუსრდამთავრებულებს გამოქვეყნებული აქვთ სტატიები, თუმცა დროის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ სათანადო აქტიურობას. 2019 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც მუშაობს პროექტების მომზადებაზე, რის შედეგადაც მომზადებულია 10 - მდე განაცხადი, 2 დაფინანსებულია, 4 პროექტის პასუხს ელოდებიან, ახლახან დაიწყეს "Investment" - ის ბესტსელერის თარგმნა, რომელიც ამერიკის საელჩოს მიერ დაფინანსდა. რაც შეეხება იმას, რომ სტუდენტებმა თავიანთი დისერტაციები მოამზადონ ინგლისურ ენაზე, თუ მათ ექნებათ ამის საშუალება კანონმდებლობის თვალსაზრისითაც აუცილებლად გამოიყენებენ აღნიშნულ შესაძლებლობას. თუმცა სტუდენტები აკეთებენ 35 გვერდიან ავტორეფერატს ორ ენაზე, სადაც ასახულია ძირითადი მიდგომები, კვლევის მეთოდოლოგია და შედეგები. ასევე დოქტორანტებს მოეთხოვებათ გამოქვეყნებაც.

სხდომის თავჯდომარემ, ბიბლიოთეკაში ელექტრონული წიგნების შეძენასთან დაკავშირებულ რეკომებდაციაზე მოსთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა მოსაზრება.
დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ლიტერატურის ძირითადი ნაწილი, გარდა სამეცნიერო ნაშრომებისა, მათ ჰოქნდათ ბეჭდური სახით, რომელსაც ხშირ შემთხვევაში იყენებენ მაგისტრატურის სტუდენტებიც. აღსანიშნავია, რომ ძველი ლიტერატურა არის ბეჭდური სახით და მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა შეუძლებელია.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა რეკომენდაციების რაოდენობიდან გამომდინარე, აკადემიური პეროსნალის და რესურსების გათვალისწინებით გადის თუ არა პროგრამა შედეგეზე.

ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ არის შენიშვნები, რომელიც ტექნიკური ხასიათისაა, მაგალითად, გარკვეული საგნების შეთავაზება იმ სტუდენტებისათვის, რომელთაც არ ჰქონდათ შეხება ბიზნესის ადმინისტრირების საკითხებთან. აღნიშნული არ მოითხოვს დიდი ძალისხმევას. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, საგანმანათლებლო პროგრამა ცალსახად გადის სწავლის შედეგებზე, ექსპერტებმა დეტალურად შეისწავლეს განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები, რომელიც შეესაბამება მოთხოვნებს: აქვთ საერთაშორისო აქტივობა, გამოქვეყნებული აქვთ პუბლიკაციები და ა. შ. ასევე, აკადემიური პერსონალის მხრივაც კითხვის ნიშები არ აქვთ.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ ამოიკითხა ფრაზა ექსპერტთა დასკვნიდან, იმის თაობაზე რომ დისერტაციის დაცვის წინაპირობად არ უნდა ჩაითვალოს UG სამეცნიერო ჟურნალები და საერთაშორისო კონფერენცები. მას აინტერესებს რატომ წარმოადგენს აღნიშნული პრობლემას.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ამაზე ჯგუფში იყო დისკუსია, მათი აზრით, უმჯობესია, დაწესებულების წარმომადგენლებმა მისცენ საშუალება სტუდენტებს, გამოქვეყნონ სტატია საერთაშორისო იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში. რადგან საგანმანათლებლო პროგრამა არის სადოქტორო საფეხურის, დოქტორანტმა უმჯობესია მონაწილეობა მიიღოს არა მისი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში არამედ მის ფარგლებს გარეთ.

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

გიორგი ქვარცხავა შემოუერთდა სხდომას 18:33 საათზე.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილმა დაინტერესდა, შემოწმდა თუ არა ექსპერტების მიერ ანტიპლაგიატის სისტემა, არიან თუ არა პერსონალი და სტუდენტები რეგისტრირებული, და რამდენად აქტიურად მიმდინარეობს დისერტაციის გარდა, სხვა ნაშრომების შემოწმება.
ექსპერტმა უპასუხა, რომ უნივერსიტეტი არის გაწევრიანებული კონსორციუმში, ამ პროგრამის აქტიურად დანერგვა ხდება, თუმცა საჭიროა გაციფრულება.

დაწესებებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ ექსპერტებმა დაათვალიერეს „ტურნიტინის" პროგრამა, სადაც დარეგისტრირებულია ყველა პერსონალი, სტუდენტები, არეგისტრირებენ ნაშრომებს, გარდა ამისა, სტუდენტს აქვს 24 საათის განმავლობაში 3 ცდა.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 18:37 სთ
დამთავრების დრო - 18:43 სთ

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

18:43 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ლევან გორდეზიანმა.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს

სხდომის თავმჯდომარე ______________________________
ხელმოწერა

უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[82] | ბიზნესის ადმინისტრირება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[83] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №298 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[84] | - |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[85] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[86] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[87] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[88] | 0413 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[89] | კოსტავას 77ა, თბილისი, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი, 0171, საქართველო |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[90] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

82 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

83 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

84 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

85 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

86 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

87 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

88 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

89 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

90 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ______________________

*ხელმოწერა*

**6. მეექვსე საკითხი:** შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[91] | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[92] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №292 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[93] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[94] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[95] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[96] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[97] | 0919 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[98] | საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის I კორპუსი, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[99] | - |

---

[91] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[92] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[93] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[94] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[95] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[96] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[97] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი

[98] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[99] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ______________________________

*ხელმოწერა*

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შეხვედრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, დოკუმენტები, რომლებიც იყო წარმოდგენილი დაწესებულების მიერ, მეტნაკლებად კარგ დონეზე იყო შესრულებული, ექსპერტებმა შეიმუშავეს რამდენიმე რეკომენდაცია, მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე რამდენიმე საკითხი, რომელიც საკმარისად მწვავედ დგას, კერძოდ, დოქტორანტებს ევალებათ რამდენიმე შრომის პუბლიკაცია, ასეთი სახის გამოცემები ძირითადად უცხოეთშია, თუმცა დაწესებულებამ სხვაგვარი გამოსავალი ნახა, ის გამოსცემს ახალ ჟურნალს, რომელიც მოითხოვს სერიოზულ დახვეწას და ინტერნაციონალიზაციას. ასევე, დოქტორანტების პირველ და მესამე წელიწადს, როდესაც ისინი ამთავრებენ ნაშრომის გაფორმებას და ანალიზს, სასურველია, იყოს დამატებით სტატისტიკის ისეთი კურსები, რომელიც დაეხმარებიან სტუდენტებს. აღნიშნული შეეხება ინტეგრირებულ საგნებს სტატისტიკაში, რაც დაწესებულებამ გაიზიარა და გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ასევე, აღსანიშნავია, რომ გაძლიერებულია დროის მენეჯმენტი დოქტორანტისთვის, ყველა დოქტორანტი პარალელურად მუშაობს და აგვიანებენ სადოქტორო ნაშრომების გაფორმებას, ზოგიერთი ვერ ამთავრებს 2-3 წელი, შესაბამისად, დაცულია 10 - 15 სადოქტორო დისერტაცია, როდესაც 2 – 3 ჯერ მეტი აბარებს პირველ კურსზე და აქტიურად მიდიან დასასრულამდე, თუმცა ვერ ძლევენ, უჭირთ კვლევითი სამუშაოს დასრულება, რადგან სამსახურში არიან დაკავებულნი. ექსპერტის თქმით, როგორც მათ იციან უნივერსტეტი ამ კუხით ცდილობს გამოსავლის პოვნას.

სხდომის თავჯდომარე დაინტერესდა რას გულისხმობს ექსპერტი ელექტრონული სისტემის ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა განმარტა, რომ აქ ძირითადად საუბარია დოქტორანტის და ხელმძღვანელის ურთიერთობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ ხელმძღვანელები ცნობილი ადამიანები არიან არა მხოლოდ საქართველოს მასშტაბით, ისინი ვიზიტისას მათ ვიდეო ზარის მეშვეობით ესაუბრნენ, რადგან მივლინებით იყვნენ გასული ქვეყნიდან.

სხდომის თავჯდომარე ასევე დაინტერესდა სადისერტაციო ნაშრომებზე რა მოსაზრება ჰქონდა ექსპერტს.

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სადისერტაციო ნაშრომები ძირითადად, შესრულებულია მაღალ დონეზე, აქვთ პრაქტიკული ამოსავალი, იქიდან გამომდინარე, რომ ნაშრომები რამდენიმე ფილტრს გადის, ამამსთან ერთად, ის უკავშირდება დოქტორანტის ძირითად სამუშაოს, ძირითად ინტერესებს, დაწესებულებაც არის დაინტერესებული, ერთ - ერთი დისერტაცია შეეხებოდა: დაავადებათა პრევენციის საკითხებს და ის რეკომენდაციები, რომელიც იყო დისერტაციაში მერე დაინახეს კანონმქვემდებარე აქტებში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

სხდომის თავჯდომარე დანტერესდა თუ როგორ აპირებდა დაწესებულება გამოსავლის პოვნას დოქტორანტების დროის სიმცირესთან და დატვირთულობასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა, რომ დატვირთულობის პრობლემა ახასიათებს ყველა უნივერსიტეტს, ისინი ფიქრობენ სტუდენტს ხელი შეეუწყონ ელექტრონული კომუნიკაციით, რომ მან შეძლოს დროის დაზოგვა, დაწესებულებას აქვს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, სადაც შედის ხელმძღვანელი, საბჭოს თავჯომარე და ექსპერტი, ისინი უნდა შეიკრიბონ მინიმუმ 2 ჯერ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში სემესტრში, ასევე ყოველ თვე უნდა ჰქონდეს სავალდებულო კომუნიკაცია, ელექტრონული კომუნიკაციით კი ბევრად გაიოლდება ურთიერთობა, კეთდება საოქმე ჩანაწერებიც

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა, დაინტერესდა თუ რა იგულისმებოდა ხელშეწყობაში, დოქტორანტს და ხელმძღვანელს თვითონაც შეუძლიათ კომუნიკაცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაუზუსტა, რომ ისინი მათ სთხოვენ სემესტრის ბოლოს შესაბამისს ანგარიშს, შესაძლოა დოქტორანტმა თქვას, რომ ხელმძღვანელმა რაიმე არასწორი რჩევა მისცა მას, რაც გამორიცხულია, მაშინ მათ უნდა ჰქონდეთ ოქმი. თემის ხელმძღვანელსა და დოქტორანტს ნებისმიერ დროს შეუძლიათ კომუნიკაცია, უბრალოდ უნდა შეიკრიბოს სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო და შეამოწმოს აქტივობები, ამისათვის მას სჭირდება მოლაპარაკებები ადმინისტრაციასთან, აქ საუბარია 2 სხვა პირზეც, რომელიც ამოწმებს წლის განმავლობაში ან სემესტრის განმავლობაში დაგეგმილ აქტივობას. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია განმარტებული, დაწესებულებაში კვლევითი კომპონენტი 4 ეტაპად არის დაყოფილი, თითოეული ეტაპის შემდეგ ფასდება როგორ გადალახა დოქტორანტმა შესაბამისი კრიტერიუმები, ასევე მათ თვითშეფასების დოკუმენტში მითითებული ჰქონდათ, რომ "Tempus" -ის მიერ დაფინანსდა კვლევა, რომელიც ჩაატარა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2012 წელს, სადაც დოქტორანტების აქტივობები იყო შესწავლილი, განსაზღვრული იყო დოქტორანტების რაოდენობა, რომლებიც ვერ ამთავრებდნენ ვადებში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად, მკაცრად განისაზღვრა თითოეული ეტაპის გადალახვის კრიტერიუმები, ეს არის კიდევ ერთი მთავარი მექანიზმი იმისა, რომ დოქტორანტი რამენაირად მაქსიმალურად, ოპტიმალურ დროში მიიყვანოს კონკრეტულ შედეგამდე.

საბჭოს წევრმა, გიორგი ქვარცხავამ აღნიშნა, რომ თუ ვერ ამთავრებს საგანმანათლებლო პროგრამას დოქტორანტი ის ან მისი ბრალია ან ხელმძღვანელის, მაგრამ თუ ძირითადი პრობლემა კომუნიკაციის ნაკლებობაა, რომელიც გამოწვეულია ხელმძღვანელის მოუცლელობით, ეს უკვე პრობლემაა.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნული გამორიცხულია, რადგან თითოეული დოქტორანტისთვის იქმნება სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, სადაც შედის სულ მცირე 3 წევრი, ეს საბჭო ეტაპებს აჯამებს, ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა, გაიმეორა დაწესებულების წარმომადგენლის ნათქვამი, რომ საკონსულტაციო საბჭო, აფასებს მათ მუშაობას. ის დაინტერესდა თუ ჰქონდათ დებულებით გაწერილი საკონტაქტო საათები რამდენი უნდა ჰქონდეს დისერტაციის ხელმძღვანელს, საშუალოდ რამდენი საათია სემესტრის განმავლობაში ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის, ასევე, 4 ეტაპი, რას ითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარე ______________________________

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პირველი ეტაპი არის ლიტერატურის მიმოხილვა, მე - 2 ეტაპი - კვლევის პროტოკოლის შედგენა მე - 3 ეტაპი - კვლევების ჩატარება მე - 4 ეტაპი - დისერტაციის დაცვა. ასევე, მინიმალური სავალდებულო საკონტაქტო საათია კვირაში 2 საათი, მაგრამ თუ მას დამატებით სჭირდება დრო ამას არ განსაზღვრავენ.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესდა, როგორ გამოყოფენ აღნიშნულ 4 ეტაპს ერთმანეთისგან, ერთიანად ფასდება თუ ცალკე შეფასებები აქვს, ასევე, რა პერიოდულობით ამოწმებენ როგორ შესრულდა თითოეული ეტაპი, გაწერილია პირველიდან მეექვსე სემესტრამდე თუ განსხვავებულად რეგულირდება.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ზოგადად, კურიკულუმში მოცემულია მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სემესტრები, თუმცა მას ხელმძღვანელთა შეთანხმებით შეუძლია სამუშაო დაიწყოს პირველივე სემესტრიდან გარკვეული მოცულობით, მაგრამ პირველივე სემესტრიდან არ ხდება მხოლოდ ხელმძღვანელისგან შეფასება, მას სამედიცინო საკონსულტაციო საბჭო უსმენს და აფასებს, ეტაპის მიხედვით, შეფასება ქულების სახით არ იწერება, გაიცემა რჩევა, რეკომენდაცია, გამომდინარე აქედან, თითოეულ ჩანაწერს აქვს მათთვის მნიშვნელობა. სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო მართავს მთელ პროცესს, ის ეხმარება დოქტორანტს გაეცნოს სიახლეს, მოიძიოს საჭირო სასწავლო კურსი და ა. შ. დოქტრორანტი და ხელმძღვანელი თავად წყვეტენ ძირითად აქტივობებს, რომელიც იქნება დაიგეგმილი, სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს ფუნქცია კი ერთის მხრივ, არის ყველა განსაზღვრულ პერიოდში შეამოწმოს აქტივობები როგორ შესრულდა, მეორეს მხრივ კი არის მონიტორინგი სრულდება თუ არა ეს ფაქტორი და არა ისე რომ მოხდეს ერთმანეთის კომპეტენციებში გადაჭრა.

საბჭოს წევრი, თეა მჭედლური დაინტერესდა რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ჩავარდა დისერტაციის თემა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში ხდება გადავადება.

საბჭოს წევრმა ხათუნა თოდაძემ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 19 სტუდენტიდან მხოლოდ 4 - ს აქვს დასრულებული საგანმანათლებლო პროგრამა. ის დაინტერესდა საერთოდ რამდენი კურსდამთავრებული ჰყავს საგანმანათლებლო პროგრამას.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავთ 8 კურსდამთავრებული და 4 დოქტორანტი მზად არის მიდინარე სემესტრში დაიცვას ნაშრომი, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ სკოლა გამოყოფს გრანტს, სტატიის გამოქვეყნებას უფინანსებს, მაინც ვერ ახერხებენ დასრულებას.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 19:11 სთ
დამთავრების დრო - 19:19 სთ

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

19:19 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა.

**საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა**

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

სხდომის თავმჯდომარე ______________________

*ხელმოწერა*

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[100] | საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[101] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №292 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[102] | საზოგადოებრივი ჯანდაცვა |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[103] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[104] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[105] | - |

---

[100] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[101] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[102] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[103] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[104] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[105] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[106] | 0919 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[107] | საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის I კორპუსი, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[108] | |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | |

7. მეშვიდე საკითხი: შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნირებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[109] | კომპიუტერული მეცნიერება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[110] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №300 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[111] | ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებები |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[112] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[113] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი |

---

[106] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[107] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[108] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში
[109] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[110] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[111] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[112] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[113] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[114] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[115] | 0613 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[116] | საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის I კორპუსი, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[117] | |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

---

[114] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[115] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
[116] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
[117] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე ______________________________
ხელმოწერა



მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტ(ებ)ის პოზიციის განხილვა

ექსპერტმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, საგანმანათლებლო პროგრამა არის საინტერესო, თუმცა გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. მან საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები:

- უნდა შერბილდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მაგისტრის ხარისხის დაშვების მიზნით მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებში.
- კურსის აღწერილობები უნდა მოიცავდეს იმ ცოდნის დოკუმენტაციას, რომელიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ კურსის აღებამდე.
- უნდა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს.
- ჩართეთ პროგრამაში დარგთან დაკავშირებული აქტიური მკვლევარები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აქტიური მეცნიერი, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამაში არის დოქტორანტის ხელმძღვანელი, ხოლო დანარჩენი პერსონალი არის მომიჯნავე დარგებიდანაც. მისი თქმით, მათ ჰყავთ 4 დოქტორანტი და აპირებენ მიღებასაც. შესაბამისად, ხელმძღვანელებს აქვთ სტატიები, თუმცა ექსპერტების რეკომენდაციებს გაითვალისწინებენ. სადოქტორო თემის გამოცხადებისას აკადემიური პერსონალი წარმოადგენს კვლევის კონცეფციას, სადაც უნდათ რომ ჩართონ დოქტორანტი, შემდეგ ეს საკითხი განიხილება სკოლის საბჭოზე, მტკიცდება ეს თემატიკა და ცხადდება მიღება კონკრეტულ პროფესორთან სამუშაოდ. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, გაცემულ რეკომენდაციას ეთანხმებიან და გამოყენებითი მათემათემატიკის მიმართულებით მაგისტრის და მათთან გათანაბრებული სტუდენტების მიღებაც დაიშვება. ასევე, მისაღებია რეკომენდაცია, სასწავლო კურსის შინაართან დაკავშირებით, მისი განმარტებით, სასწავლო მოდული დაყოფილია ორ ნაწილად: ძირითადი სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს პედაგოგიკის მეთოდებს, პროექტის მართვას, ტექსტის რეფერირებას, ეს სასწავლო კურსები წინაპირობას არ მოითხოვენ, მათ აქვთ არჩევითი კურსებიც, რომელსაც ისინი დოქტორანტს სთავაზობენ სპეციალობიდან გამომდინარე, რა თემატიკასაც აირჩევს პროფესორი იმ თემატიკის რელევანტურ არჩევით საგანს ამატებენ ხოლმე საგანმანთლებლო პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათთვის მისაღებია, რომ საგნის აღწერაში გაწერონ ცოდნა, რაც უნდა ჰქონდეს დოქტორანტს, რომ კონკრეტული საგანი დაძლიოს. ამასთან ერთად, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამზე მოდის დოქტორანტი, ის წარმოადგენს თავის კონცეფციას, სადაც ის ავლენს ცოდნას და კვლევით უნარებს, სწორედ ეს არის ის წინპირობა, რომელიც ადგენს დოქტორანტს შეუძლია თუ არა ჩაერთოს კვლევებში, აიღოს კონკრეტული საგნები და წარმატებით გაართვას თავი სასწავლო კურსებს. გარდა ამისა, სადისერტაციო საბჭო რომელიც, თითოეული დოქტორანტისთვის ცალკე იქმნება, ისინი აძლევენ მათ კონკრეტულ რეკომენდაციებს კონკრეტული კურსების არჩევასთან დაკავშირებით, რაც არის პრევენცია, რომ დაუძლეველი საგანი არ აირჩიოს. რაც შეეხება სტუდენტსა და ხელმძღვანელს შორის ურთიერთობას, ეს რეგულირდება სადოქტორო დებულებით, ასევე, არსებობს საკონსულტაციო საბჭოც, რომელიც მუდმივად მონიტორინგს უწევს დოქტორანტის მუშაობას.

საბჭოს წევრი გიორგი ქვარცხავა დაინტერესდა ამ ორი ხელმძღვანელის გარდა სხვასაც თუ შეეძლო ყოფილიყო ხელმძღვანელი დოქტორანტის.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ სხვასაც შეუძლია. მოქმედი დოქტორანტიდან არცერთს არ ჰყავს ისეთი ხელმძღვანელი, რომელსაც არ უფიქსირდება ბოლო პერიოდში სამეცნიერო აქტივობა.

სხდომის თავმჯდომარე ______________________

ხელმოწერა

საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე დაინტერესდა ჰქონდთ თუ არა დაწესებული ლიმიტი ერთ ხელმძღვანელს რამდენი დოქტორანტი შეიძლება ჰყავდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრაქტიკაში ერთ ხელმძღვანელს 2-3 დოქტორანტი ჰყოლია, ამას აკონტროლებენ სკოლის საბჭოში. ლიმიტირებული ციფრი გაწერილი არ აქვთ რეგულაციაში, თუმცა ხარისხის სამსახური ამასთან დაკავშირებით გასცემს რეკომენდაციებს ხელმძღვანელს არ უნდა ჰქქვდეს 5 - ზე მეტი დოქტორანტი. მათი პროფესორი, რომელიც აწარმოებს პრაქტიკულ კვლევით საქმიანობას, ის შემოდის წინადადებით რომ არის საკვლევი თემა, აჰყავს დოქტორანტი, რომელიც ამ კვლევის განხორციელებაში დაეხმარება, ამის შესახებ მიდის მსჯელობა სკოლის აკადემიურ საბჭოში, თუ რამდენად აქტუალურია საკითხი, კვლევითი სამეცნიერო ინსტიტუტი კი იძლევა ექსპერტიზას, დოქტორანტი თვითონ ვერ მოდის და ირჩევს კვლევის თემატიკას, ის უკვე არსებობს, და როდესაც უკვე არსებობს სადისერტაციო მიმართულება, დაწესებულება სთხოვს დოქტორანტს კონცეპციას, მან უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვა, რატომ დაინტერესდა აღნიშნული საკითხი, რა უნარი აქვს ამ მიმართულებით.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 19:33 სთ
დამთავრების დრო - 19:43 სთ

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნირებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

✓ აკრედიტაციის შესახებ

☐ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

საბჭოს მიერ, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აკრედიტაციის დებულების $27^2$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^6$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს

სხდომის თავმჯდომარე ______________________
ხელმოწერა

უნივერსიტეტის „კომპიუტერული მეცნირებების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[118] | კომპიუტერული მეცნიერება |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[119] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №300 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[120] | ზუსტი, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული მეცნიერებები |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[121] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[122] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[123] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[124] | 0613 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[125] | საქართველო 0171, ქ. თბილისი, კოსტავას 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის I კორპუსი, |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[126] | - |

118 დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
119 ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
120 საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
121 ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
122 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
123 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
124 სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი
125 ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი
126 საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

_______________________

*ხელმოწერა*

| | | |
|---|---|---|
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

8. **მერვე საკითხი:** შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[127] | სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[128] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №295 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[129] | კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[130] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[131] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[132] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები |
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[133] | 0314 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[134] | საქართველო, 0171 ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. 77 უნივერსიტეტის IV კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |

[127] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[128] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[129] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[130] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[131] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[132] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[133] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი
[134] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[135] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

სხდომის თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მათ დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის პოზიცია და დისკუსია

სხდომის თავჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტები არ იმყოფებიან სხდომაზე და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ იქნებოდა უმჯობესი გადაედოთ საკითხის განხილვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას განხილვის დღეს გასდიოდა ვადა და შესაბამისად, იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამას არ მისდგომოდა ზიანი, სასურველი იყო საკითხი ა განხილული ყოფილიყო ექსპერტების გარეშე ან ცენტრს გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი (ინდაქტი), იმასთან დაკავშირებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამას გაუგრძელდეს აკრედიტაციის ვადა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ ცენტრის უფლებამოსილებაში არ შედის საგანმანათლებლო პროგრამას გაუხანგრძლივოს აკრედიტაციის ვადა, ვინაიდან პროგრამას კანონით აქვს დადგენილი აკრედიტაციის ვადა, თუმცა დაწესებულებას შეუძლია დააყენოს შუამდგომლობა ახალ აკრედიტაციის საბჭოსთან, რომელიც დამტკიცდება 2020 წლის იანვარში, თუ საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭება აკრედიტაცია, იმ ვადის ფარგლებს გარეთ, როცა დასრულდება აკრედიტაციის ვადა, მოითხოვოს გადაწყვეტილების ამოქმედება ძველი თარიღით. შუამდგომლობის დაკმაყოფილების საკითხს განიხილავს ახალი აკრედიტაციის საბჭო.

[135] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

დაწესებულების წარმომადგენლებმა და საბჭოს წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები არ ესწრებიან სხდომას მოხდეს განხილვა.
სხდომის თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოაედგინათ მისი არგუმენტირებული პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, 1.2 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნაში აღნიშულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში დამსაქმებლის ან პოტენციული დამსაქმებლის მონაწილეობა არ არის განსაზღვრული, მისი განმარტებით, პოტენციური დამსაქმებელი მონაწილეობდა საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში, ასევე, ჰყავთ რეალური დამსაქმებელიც, თვითონ საქართველოს უნივერსიტეტი.

სხდომის თავჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, შეახვედრეს თუ არა მათ ექსპერტები დამსაქმებლებს.
დაწესებულების წარმომადგენელმა დაუდასტურა, რომ შეახვედრეს. მისი თქმით, ესენი არიან: თსუ - ს ეთნოლოგიის სამეცნიერო სასწავლო ინსტიტუტი, თსუ - ს კულტურის კვლევებს სამეცნიერო სასწავლო ინსტიტუტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ინსტიტუტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. აღნიშნული ორგანიზაციები წარმოადგენენ პოტენციურ დამსაქმებლებს. ასევე დოქტორატს შეუძლია იმუშაოს დამოოუკიდებელ მკვლევარად. დამსაქმებლების მონაწილეობა სწორედ იმისთვის არის განსაზღვრული, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ბაზრის მოთხოვნებთან უკეთ ადაპტირდეს, გამოკითხვის ანალიზი თვითშეფასების ანალიზშიც არის ასახული, რაც გადაგზავნილი იყო ექსპერტთა ჯგუფისათვის. გარდა ამისა მისი თქმით, თსუ - ს კულტურის სამეცნიერო კვლევის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ეთნოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი სამივე შეხვდნენ ექსპერტებს, ენობრივი პრობლემა არცერთს არ ჰქონდათ, აღნიშნული შეფასება მათ უცნაურად მოეჩვენათ, მითუმეტეს, რომ 5.1 კომპონენტი, შიდა ხარისხის შეფასება - შეფასებულია შემდეგნაირად: „ პროგრამაში ჩართული პირები, რეგულარულად ურთიერთობენ დამსაქმებლებთან, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური კურსების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა"; ხოლო 5.3 კომპონენტიშეფასდა შემდეგნაირად: „ასევე დადგენილია სტანდარტთან შესაბამისობა და მითითებულია, რომ დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფსების აქტიური ფორმა, დაინტერესებული მხარეები, დამსაქმებელთა გამოკითხვა, მოსაზრებების შეკრება და შეჯამება, კვლევის მასალების შეკრება და ანალიზი, მათი შედეგები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განსახორციელებლად".

დაწესებულების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, იმ ფაქტს, რომ ეს ორი სტანდარტი შეფასებულია, როგორც სრულად შესაბამისი, აღწერის ფორმულირებაშიც ჩანს დამსაქმებელთა მონაწილეობა, თუმცა რეკომენდაცია მაინც გაიცა ამ კუთხით. ექსპერტთა რეკომენდაცია გაიცა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსთან დაკავშირებითაც, დასკვნაში ასახულია რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა ანთროპოლოგიის მიმართულებით საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რომელიც შემდგომ გაუქმდა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში არასდროს არ ხორციელდებოდა აღნიშნული მიმართულებით საბაკალავრო საფეხურის პროგრამა, ვინაიდან დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მასზე არ არის დიდი მოთხოვნა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თსუ - ში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აღნიშნული პროგრამები დოქტორანტებისათვის არის უფასო, ხოლო მათ უნივერსიტეტში ფასიანი. მიუხედავად იმისა, რომ თანხის ნაწილი დოქტორანტს გრანტის სახით უბრუნდება, რაც ძირითადად მიმართულია კვლევების განხორციელებაზე, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობაზე, დოქტორანტებს მაინც აქვთ გადასახდელი სწავლის საფასური. სწავლის საფასური შეადგენს 3 000 ლარს, თითოეული წლიდან დოქტორანტის გრანტისთვის არის განსაზღვრული 1/3 და აქტიურადაც იყენებს ამას დოქტორანტი, მაგალითად, ერთ-ერთმა დოქტორანტმა 3 თვიანი სტაჟირება გაიარა მაქს პლანკის (Max

სხდომის თავმჯდომარე

ხელმოწერა

planck) ინსტიტუტში და ჩართული იყო კვლევებში, საერთაშორისოში კონფერენციებში და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწესებულებამ განახორციელოს მესამე საფეხურზე სწავლება, პირველი ორი საფეხურის გარეშე.

საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, როგორ შეძლებდა იურისტი დაეძლია აღნიშნული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ცხადდება სპეციფიურ თემაზე კონკურსი, მაგალითად, პოტენციური დოქტორანტი მუშაობდა დეპორტირებული მესხების, ეთნიკურობა და იდენტობასთან დაკავშირებით, ცხადდება ძირითადი საკითხები, რომელიც დოქტორანტმა უნდა იცოდეს, ხდება სპეციალობაში გასაუბრება, დგინდება რა ცოდნა გააჩნია მას, აქვთ სპეციალობის მოდულიც შეთავაზებული, სადაც საკვანძო საკითხებია მოცემული და რაც მისი კვლევის უშუალო ობიექტს წარმოადგენს.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სამაგისტრო საფეხური შეიძლება წაადგეს სადოქტორო საფეხურზე მსურველთა გაზრდას, ფიქრობენ კიდეც განიხილონ ეს საკითხი ინტერდისციპლინურ კონტექსტში, სოციალურ მეცნიერებთა სკოლასთან ერთად. რაც შეეხება ფინანსურ მდგრადობას, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამა აბსოლუტურად მდგრადია, რადგან განმახორციელებელი პერსონალი, გარდა დოქტორანტის ხელმძღვანელისა, სასწავლო კომპონენტს ახორციელებს ყველა დანარჩენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე. გარდა ამისა, როდესაც კერძო უნივერსიტეტს აქვს სურვილი და შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს კონკრეტული დარგის განვითარებას, ეს მისასალმებელი უნდა იყოს და ერთი დოქტორანტი პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაცია გაიცა 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით, კერძოდ, სასწავლო კომპონენტის გაზრდა ინდივიდუალური კურსების რაოდენობით. სასწავლო კომპონენტს აქვს 60 კრედიტი, საიდანაც 45 კრედიტი არის სავალდებულო, 15 კრედიტი - არჩევითი, 10 კრედიტი, სპეციალობის მოდული, რომელიც ფოკუსირებულია დოქტორანტისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, ზოგადად ორიენტირებულია კვლევით კომპონენტზე და არა სწავლებაზე, სასწავლო კომპონენტის ძირითადი დანიშნულებაა, რომ დოქტორანტს განუვითაროს ისეთი უნარები, რომელიც მას შემდეგ დაეხმარება საკვლევი პრობლემატიკის ფართო ხედვაში. ამ თვალსაზრისით სასწავლო მოდულში შეტანილია თვისობრივი კვლევები, სწავლება შეფასების თანამედროვე სტრატეგიები უმაღლესს განათლებაში, მეცნიერების ფილოსოფია, აკადემიური წერა სამეცნიერო პუბლიკაციებისათვის, რომელიც ინტერნაციონალიზაციის განვითარებისკენ არის მიმართული. სწავლების მერვე საფეხური არ ასწავლის სპეციალობას, არც სხვა უნივერსიტეტების ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებში არ ისწავლება სპეციალობის მოდული.

საბჭოს წევრი მაკა ლაშხიამ განაცხადა, რომ 2.3. კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, გულისხმობს იმას რომ სოციალურ კულტურულ ანთროპოლოგიაში შესაბამისობაში სჭირდებათ დარგები და არა ტრანსფერული უნარები.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, წინაპირობაში არ არის მითითებული, რომ სტუდენტი მაინც და მაინც განათლებით უნდა იყოს ანთროპოლოგი, მას აქვს დაშვება ისტორიის, სამართალის მაგისტრის ხარისხის მქონე სტუდენტებზეც, რომელიც დაადასტურებს იმ ცოდნას, რაც სჭირდება ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოსახვედრად, გარდა ამისა, კონკრეტულ საკვლევ თემატიკაში მას სჭირდება უფრო ჩაღრმავებული ცოდნა და შეთავაზებული აქვს სპეციალობის მოდული 10 კრედიტის ფარგლებში.
საბჭოს წევრმა მაკა ლაშხია დაინტერესდა პროგრამაში რამდენი დარგის სპეციალისტი იყო ჩართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართული იყო ერთი დარგის სპეციალისტი, ხოლო 9 ადამიანი მოწვეული იყო მომიჯნავე დარგებიდან.

სხდომის თავმჯდომარე

_______________________
ხელმოწერა

საბჭოს წევრმა მაკა ლაშხიამ, აღნიშნა, რომ ბალანსი ერთი დარგის პეციალისტის სახით წარმოადგენდა პრობლემას.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა შეეძლო თუ არა დოქტორანტს დაინტერესების შემთხვევაში ხელმძღვანელის სახით აუყვანა სპეციალისტი, რომელიც არ იყო დასაქმებული აღნიშნულ უნივერსიტეტში.
დაწესებულების წარმომადგენელმამგანაცხადა, რომ სურვილის შემთხვევაში დოქტორანტს ექნებოდა ამის საშუალება.
საბჭოს წევრი, ნინო ლიპარტია დაინტერესდა, რამდენი წევრი იყო სადისერტაციო საბჭოში და საიდან ხდებოდა აღნიშნული პირების მოწვევა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სპეციალისტების მოწვევა ხდებოდა სხვა და სხვა დაწესებულებებიდან. ასევე აღსანიშნავია, რომ დასკვნაში მე-4 სტანდარტი ექსპერტების მიერ შეფასებულია სრული შესაბამისობით.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა განაცხადა, რომ, როგორც საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ აღნიშნა, მომიჯნავე დარგის სპეციალისტები კითხულობენ ლექციებს. მას აინტერესებს მათი კვალიფიკაცია თუ შეესაბამება მოტხოვნებს და შეძლებენ თუ არა ისინი წაიკითხონ აღნიშნული კურსები.
დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, სასწავლო კომპონენტის ხელმძღვანელების კომპეტენციასთნ დადგენილია სრული შესაბამისობა ექსპერტების მიერ.
დაწესებულების წარმომადგენელი ეთანხმება ექსპერტის მოსაზრებას მულტიკულტურალიზმის და ეთნიკურობის კურსის დამატებასთან დაკავშირებით. მოხდება აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება. აღინიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმება რეკომენდაციას ლიტერატურის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, ვინაიდან სილაბუსში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. ასევე, ყველა სილაბუსს აქვს ერთნაირი სტრუქტურა: კვირათა იდენტური რაოდენობა, შეფასების არაერთჯერადი სისტემა, კურსის აღწერა,მეთოდები, შედეგები.

საბჭოს წევრი ნინო ლიპარტია დაინტერესდა თუ რა არის მიღების წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნა და მაგისტრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხი სოციალურ ქცევით სამართლის მეცნიერებებში ან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

სათათბირო შესვენება

დაწყების დრო - 20:18 სთ
დამთავრების დრო - 20:26 სთ

სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საქართველოს უნივერსიტეტის "სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

✓ საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კენჭისყრის შედეგები:

სხდომის თავმჯდომარე



ხელმოწერა

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

☐ აკრედიტაციის შესახებ

√ პირობითი აკრედიტაციის შესახებ

☐ აკრედიტაციაზე უარის თქმის შესახებ

☐ აკრედიტაციის გაუქმების შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-$3^{2}$ ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების $27^{2}$ მუხლის პირველი პუნქტის, $27^{5}$ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მე-5 პუნქტის, $27^{6}$ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

| № | ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[136] | სოციალური და კულტურული ანთროპოლოგია |
| 2 | ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა | - |
| 3 | სტატუსი[137] | აკრედიტებული |
| 4 | სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | 2014 წლის 24 დეკემბერი, №295 |
| 5 | ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[138] | კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია |
| 6 | უმაღლესი განათლების საფეხური[139] | დოქტორანტურა |
| 7 | კვალიფიკაციის დონე[140] | მერვე |
| 8 | კვალიფიკაციის დასახელება | სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის დოქტორი |
| 9 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[141] | - |
| 10 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) | 0314 სოციოლოგია და კულტურის კვლევები |

[136] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი
[137] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია
[138] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში
[139] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა
[140] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით
[141] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

სხდომის თავმჯდომარე



ხელმოწერა

| | | |
|---|---|---|
| 11 | კვალიფიკაციის კოდი[142] | 0314 |
| 12 | სწავლების ენა | ქართული |
| 13 | ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა | 180 |
| 14 | განხორციელების ადგილი[143] | საქართველო, 0171 ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ. 77 უნივერსიტეტის IV კორპუსი |
| 15 | ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | - |
| 16 | აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[144] | - |
| 17 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | - |

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი — ნინო ლიპარტია

სხდომის მდივნები: — სალომე თოთიბაძე

ლევან გორდეზიანი

[142] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[143] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[144] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში